ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724030001
თარიღი:30/01/2024

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N 03

დ. ლენტეხი. 29 იანვარი /2024წ.

მიმდინარე წლის 29 იანვარს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15 (თხუთმეტი) წევრი. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **2024 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ტახუ ჩანქსელიანი/

2. **„ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N -29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ტახუ ჩანქსელიანი/

დღის წესრიგთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა: დაემატოს დღის წესრიგს საკითხი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

ეს საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი. კანონმდებლობის გათვალისწინებით ეს დადგენილება უნდა მიგვეღო 2023 წლის ბოლომდე. დაგვიანდა საკითხის მომზადება. ამ ეტაპზე საკითხი მომზადებულია, გავლილი და დაზუსტებულია მერიის იურიდიული სამსახურის მიერ და თუ წინააღმდეგი არ იქნებით დავამატოთ დღის წესრიგში.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა -რადგანაც წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და ამავე დროს

დროულად მისაღები, ამიტომ კენჭისყრაზე ვაყენებ დღის წესრიგს აღნიშნული საკითხის გათვალისწინებით.

ღია კენჭისყრით: მომხრე - 15 და წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1. **2024 წლის 1 იანვრისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის განაწილების თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ტახუ ჩანქსელიანი/

2. **„ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N -29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ტახუ ჩანქსელიანი/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.**

მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთი 3740925 ლარის განაწილების თაობაზე.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ნაშთი შეადგენს 3740925, რომელიც უნდა განაწილდეს დანართი 1-ის მიხედვით:

	2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთის 3740925 ლარის განაწილება		
N	ღონისძიების დასახელება	ორგ. კოდი	ნაშთი
	კაპიტალური ნაშთის განაწილება		
1	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები და ფასადები)	02 04 01	912743
2	საგზაო ინფრასტრუქტურა (გზები ხიდები)	02 01 01	1277899,55
3	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	02 02 01	128416,70
4	სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრი ჯებირები	02 02 02	42835,75
5	საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ტექ. დოკუმენტაციის შედგენა და საზედამხედველო მომსახურეობა	02 05	59290
	სულ ჯამი:		**2421185**
	მათ შორის თავისუფალი ნაშთი		
1	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრი ,,ლაიალა“	05 01 06	19000
2	ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	05 02 14	140000
3	ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის ფერმერული	02 07	15000

	მომსახურების სერვის ცენტრი		
4	ა(ა)იპ ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	05 02 05	8400
5	ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანება	05 02 04	21000
6	ა(ა)იპ თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი	01 02 04	120000
7	ავტომობილების რემონტი და საბურავების შეძენა	01 01 02	76000
8	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (სკვერები და ფასადები)	02 04 01	238137
9	საპროექტო სამშენებლო სამუშაოების ტექ. დოკუმენტაციის შედგენა და საზედამხედველო მომსახურეობა	02 05	108805
10	ა(ა)იპ ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი	05 02 15	43200
12	სოციალური უზრუნველყოფა	06 04 01	15000
13	ა(ა)იპ გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	03 02	11000
14	ა(ა)იპ ო. ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრი	05 01 02	4600
15	საგზაო ინფრასტრუქტურა (გზები ხიდები)	02 01 01	100000
16	ა(ა)ოპ ბაგა ბაღების გაერთიანება	04 01	100000
17	შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო)	01 00	200000
18	საქონელი და მომსახურება	01 00	99598,47
	სულ ჯამი:		**1319740**

კითხვა დასვა: გიორგი გაზდელიანმა - რა იგულისხმება კეთილმოწყობის სამუშაოებში ?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ სამუშაოებში იგულისხმება კულტურის სახლის კეთილმოწყობის სამუშაოები.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა - რა იგულისხმება საგზაო ინფრასტრუქურაში(გზები და ხიდები).

მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს არის გარდამავალი პროექტები, რომლებიც ვერ ავითვისეთ 2023 წელს.

მევლუდ ლიპარტელიანი - წინა წლის აუთვისებელი პროექტები უარყოფითად არ აისახება მიმდინარე წლის ბიუჯეტზე და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რა თქმა უნდა ეს ფაქტი უარყოფით გავლენას ახალი

მომხსენებელმა დაწვრილებით გაშიფრა თვითოეული მუხლი.

კითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა - აიპიებში

ხელშეკრულებები ფორმდება 1 მარტიდან და ხომ არ ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. იქნებ შევძლოთ ამ პირებისთვის ერთი თვის ხელფასის დამატებაც.

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი არის ძალიან მტკივნეული. წლებია ეს საკითხი ვერ მოგვარდა იმ გარემოების გამო, რომ მუდმივად იზრდება აიპიებში დასაქმებულთა რიცხვი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ დღევანდელი საკითხი არის ძალიან სერიოზული და უნდა განხილულიყო საკრებულოს კომისიის სხდომაზე. მაგრამ რადგანაც დროში ვართ შეზღუდული ამიტომ უნდა მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგით მომხრე -15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი - 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის 3740925 ლარის განაწილების თაობაზე.

3. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N -29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა ის თანხა, რომელიც განაწილდა განკარგულებით უნდა აისახოს ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კენჭისყრის შედეგით

მომხრე -15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N -29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა დადგენილების პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დამთავრდა დღის 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი